www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს რკინიგზა

(2024 წლის III კვარტალი)

19.11.2024
www.geostat.ge

19.11.2024

სარკინიგზო ტრანსპორტის ძირითადი მაჩვენებლები

(2024 წლის III კვარტალი)

2024 წლის III კვარტალში, საქართველოს რკინიგზით გადატანილია 3.6 მლნ. ტონა ტვირთი[1], რაც 0.7 პროცენტით ნაკლებია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. აღნიშნული მოცულობის 10.1 პროცენტი მოდის ადგილობრივ გადაზიდვაზე, 30.5 პროცენტი — საერთაშორისო გადაზიდვაზე (არ მოიცავს ტრანზიტს), ხოლო 59.4 პროცენტი — ტრანზიტზე.

რკინიგზით გადაზიდული ტვირთის წონა ტრანსპორტირების ტიპის მიხედვით,
(ათასი ტონა)



2024 წლის III კვარტალში საერთაშორისო გადაზიდვის რეჟიმში რკინიგზით გადატანილი ტვირთის ჯამური მოცულობის 76.9 პროცენტი მოდის ქვეყანაში შემოტანილ ტვირთზე, 23.1 პროცენტი კი — ქვეყნიდან გატანილზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საერთაშორისო გადაზიდვების რეჟიმში რკინიგზით გადატანილი ტვირთის სტრუქტურა კვარტალების მიხედვით:

[1] **წყარო:** სს „საქართველოს რკინიგზა“.

საერთაშორისო გადაზიდვების რეჟიმში რკინიგზით გადატანილი ტვირთის სტრუქტურა,
(ათასი ტონა)



2024 წლის III კვარტალში რკინიგზით შემოტანილი ტვირთის მთლიანი მოცულობის 37.0 პროცენტის გამომგზავნ ქვეყანას რუსეთის ფედერაცია წარმოადგენდა, 30.8 პროცენტის გამომგზავნს — აზერბაიჯანი, თითოეული დანარჩენი გამომგზავნი ქვეყნების წილი კი 10-10 პროცენტზე ნაკლები იყო (ჯამურად 32.2 პროცენტი).

2024 წლის III კვარტალში რკინიგზით გატანილი ტვირთის მთლიანი მოცულობის 13.5 პროცენტის დანიშნულების ქვეყანას ყაზახეთი წარმოადგენდა, 10.4 პროცენტის — რუსეთის ფედერაცია, 10.3 პროცენტის — სომხეთი, თითოეული დანარჩენი ტვირთის მიმღები ქვეყნების წილი კი 10-10 პროცენტზე ნაკლები იყო (ჯამურად 65.8 პროცენტი).

2024 წლის III კვარტალში ტრანზიტით გადატანილი ტვირთის მთლიანი მოცულობის[2] განაწილება დანიშნულების ქვეყანის მიხედვით შემდეგნაირი იყო: 14.4 პროცენტი — ნიდერლანდები, 7.7 პროცენტი — თურქეთი, 4.9 პროცენტი — აშშ, 3.8 პროცენტი — უკრაინა, 3.3 პროცენტი — იტალია, 2.6 პროცენტი — ჩინეთი, 2.5 პროცენტი — რუმინეთი, დანარჩენი კი სხვა ქვეყნებზე მოდიოდა. ამავე პერიოდში, ტრანზიტით გადატანილი ტვირთის 10.1 პროცენტის გამომგზავნ ქვეყანას ბრაზილია წარმოადგენდა, 3.8 პროცენტისას — რუსეთის ფედერაცია,

[2]მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის მიზნიდან გამომდინარე, ცალკეული ქვეყნიდან/ქვეყანაში გადატანილი ტვირთის მოცულობის მაჩვენებლები არ არის მითითებული.

3.1 პროცენტისას — ჩინეთი, 2.1 პროცენტისას — თურქეთი, 1.5 პროცენტისას — საბერძნეთი, 1.3 პროცენტისას — აშშ, 1.1 პროცენტისას — რუმინეთი, ხოლო დანარჩენი სხვა ქვეყნებზე მოდიოდა.

საანგარიშო პერიოდში, რკინიგზით გადატანილი ტვირთის მთლიანი მოცულობის 40.6 პროცენტი მოდიოდა კოქსისა და რაფინირებული ნავთობპროდუქტების სასაქონლო ჯგუფზე, 16.6 პროცენტი — ქიმიკატების, ქიმიური პროდუქტების და ხელოვნური ბოჭკოების; რეზინის და პლასტმასის პროდუქტების სასაქონლო ჯგუფზე, ხოლო 14.2 პროცენტი — ლითონის მადანსა და სხვა სამთო და კარიერულ პროდუქტებზე.

2024 წლის III კვარტალში სასაქონლო ჯგუფების მიხედვით განაწილება განსხვავებული იყო ადგილობრივი გადაზიდვების შემთხვევაში და 60.6 პროცენტი ლითონის მადანსა და სხვა სამთო და კარიერულ პროდუქტებზე მოდიოდა, 20.7 პროცენტი ეჭირა კოქსსა და რაფინირებულ ნავთობპროდუქტებს, ხოლო 8.1 პროცენტი — სხვა არამეტალური მინერალური პროდუქტების სასაქონლო ჯგუფს.

რაც შეეხება საერთაშორისო გადაზიდვებს, საანგარიშო პერიოდში რკინიგზის საშუალებით ძირითადად შემოტანილია კოქსი და რაფინირებული ნავთობპროდუქტები (45.7 პროცენტი), სხვა არამეტალური მინერალური პროდუქტები (20.5 პროცენტი), ლითონის მადანი და სხვა სამთო და კარიერული პროდუქტები (13.1 პროცენტი), ძირითადი ლითონები (6.9 პროცენტი) და საკვები პროდუქტები, სასმელები და თამბაქო (3.6 პროცენტი); ხოლო გატანილია ქიმიკატები, ქიმიური პროდუქტები და ხელოვნური ბოჭკოები (37.4 პროცენტი), საკვები პროდუქტები, სასმელები და თამბაქო (27.7 პროცენტი), ლითონის მადანი და სხვა სამთო და კარიერული პროდუქტები (13.0 პროცენტი) და ძირითადი ლითონები (9.5 პროცენტი).

2024 წლის III კვარტალში ტრანზიტული ტვირთის მთლიანი მოცულობის 84.3 პროცენტი სამ სასაქონლო ჯგუფზე მოდიოდა, კერძოდ: კოქსი და რაფინირებული ნავთობპროდუქტები (46.6 პროცენტი), ქიმიკატები, ქიმიური პროდუქტები და ხელოვნური ბოჭკოები (22.7 პროცენტი), საკვები პროდუქტები, სასმელები და თამბაქო (15.1 პროცენტი).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საქართველოში რკინიგზით გადატანილი ტვირთების სტრუქტურა 2024 წლის III კვარტალში:

19.11.2024

რკინიგზით გადატანილი ტვირთების სტრუქტურა
სასაქონლო ჯგუფების მიხედვით



2024 წლის III კვარტალში საქართველოს რკინიგზის მიერ გადაყვანილია 676.1 ათასი მგზავრი, რაც 8.2 პროცენტით ნაკლებია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. ამავე პერიოდში მგზავრთბრუნვის მოცულობამ 327.0 მლნ. მგზავრ-კილომეტრი შეადგინა, რაც 46.0 პროცენტით მეტია გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

2024 წლის III კვარტალში ადგილობრივი მიმოსვლის რეჟიმში გადაყვანილია 658.9 ათასი მგზავრი, რაც რკინიგზით გადაყვანილი მგზავრების მთლიანი რაოდენობის 97.4 პროცენტს შეადგენს და 8.2 პროცენტით ჩამორჩება 2023 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. ამასთან, საერთაშორისო მიმოსვლის რეჟიმში გადაყვანილია 17.3 ათასი მგზავრი, რაც 11.4 პროცენტით ნაკლებია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. საერთაშორისო მიმოსვლის რეჟიმში გადაყვანილი მგზავრების 79.2 პროცენტი შემოვიდა სომხეთიდან, ხოლო სომხეთის მიმართულებით გავიდა 20.8 პროცენტი (2024 წლის III კვარტალში სხვა მოსაზღვრე ქვეყნის მიმართულებით მგზავრთა გადაყვანა არ განხორციელებულა).

რკინიგზით გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა,
(ათასი კაცი)



საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (601), E-mail: dzhorzholiani@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge